საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთრიგზის არქეოლოგიური ძეგლები

თეთრიგზის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების ნასახლარი, პატარა ეკლესიის ნანგრევები და გვიანდ. ანტიკური –ადრინდ. ფეოდ. ხანის სამარხები. მდებარეობს სოფ. ანანურის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ახ. უბნის ჩრდ.-დას-ით, პატარა ტერასებზე. 1971 სადაზვერვო გათხრების (რ. რამიშვილი) შედეგად გამოვლინდა ორმოსამარხები და ქვის სამარხები. მათში ნაპოვნია თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, სარკე, საკინძები, მშვილდ-საკინძები, აბზინდა, მინის და სარდიონის მძივები და სხვ.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე ბ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ. და სხვ., ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინასწარი შედეგები, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972.

რ. რამიშვილი

ბ. ჯორბენაძე